ოქტომბერი 26, 2022

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წევრის ნინო წულაძის ანგარიში

2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით

ნინო წულაძე

პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“

ქ. თბილისი, თავისუფლების ქ. N2

პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ დეპუტატის ნინო წულაძის მიმართვა

მოგესალმებით,

2022 წლის 1 აგვისტოდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოში წარმოვადგენ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ და თბილისის მოსახლეობას.

ამასთან თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვარ ურბანული დაგეგმარების, საქალაქო მეურნეობისა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფისა და ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

სტატისტიკური მონაცემები

- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა
  - **4 სხდომა;**
  - **32 დადგენილება (განხილული)**
  - **264 განკარგულება (განხილული)**
- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
  - **8 სხდომა;**
  - **40 საკითხი;**
- ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია
  - **3 სხდომა;**
  - **71 საკითხი;**
- გასული კორესპონდენციების რაოდენობა
  - **ივლისი - 5;**
  - **აგვისტო - 7;**
  - **სექტემბერი - 13;**
  - **ოქტომბერი - 7;**
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივა
  - **კორუფციის ხელშემწყოფი სისტემების გამოვლენის სამუშაო ჯგუფი -1**
- შეხვედრები მოქალაქეებთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში
  - **ინდივიდუალური შეხვედრა - 13;**

- **სამუშაო შეხვედრა - 3;**

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

2022 წლის 1 აგვისტოს ოფიციალურად შევიდა ძალაში ჩემი, როგორც პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. ამ დროის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 4 სხდომაში, ხოლო კომისიურ ფორმატში დავესწარი ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის 3 (სამ) ხოლო ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 8 (რვა) სხდომას.

საკრებულოს სხდომაზე რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში ქალაქში მიმდინარე მწვავე და პრობლემური საკითხების გასაჟღერებლად გამოვიყენე პოლიტიკური სიტყვის, რეპლიკისა და კითხის დასმის ფორმატი.

პოლიტიკური სიტყვის ფარგლებში ვისაუბრე ევროკომისის რეკომენდაციების შესრულების პროცესში, საკრებულოს როგორც დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს როლზე. პოლარიზაციის შემცირების საფუძვლით მოვუწოდე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის გადახედვასთან დაკავშირებით.

ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების პროცესში, ჩვენი, როგორც პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ პასუხისმგებლობის ფარგლებში, დავარეგისტრირე კორუფციის ხელშემწყოფი სისტემების გამოვლენის სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივა, რომლის შესახებ საპასუხო მოქმედება დღემდე არ მიგვიღია.

ინიციატივის ფარგლებში სამუშაო ჯგუფს უნდა შეესწავლა ს.ს.ი.პ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვები, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ადგილმონაცვლეობა, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე კომპანიები და მათი კავშირები კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან.

პოლიტიკური სიტყვის ფარგლებში საკრებულოს დღის წესრიგში დავაყენეთ ავარიული სახლების პრობლემა. თბილისის ძველ რაიონებში (მთაწმინდა, ჩუღურეთი, ისანი) განსაკუთრებით ჭარბად გვხვდება ავარიული სახლები, მათ შორის გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რომელთა რეაბილიტაციის

პროცესთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკა თბილისის მერიას შემუშავებული არ აქვს.

ავარიულობის განსაზღვრასთან დაკავშირებული სავარაუდო კორუფციული რისკების შესახებ წერილობითი და ზეპირი ფორმით არაერთხელ მოვუწოდეთ თბილისის მერიას. ყოველგვარ მიუკერძოებლობის სტანდარტს სცდება თბილისის მერიის ა.ა.ი.პ „მუნიციპალური ლაბორატორიის“ მიერ სახლების ავარიულობის ხარისხის დადგენა.

აღსანიშნავია, სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარვეზები, რომლებზეც აქტიურად ვისაუბრე სხდომის ფორმატში. რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებით გამოვიყენე საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირისადმი კითხვით მიმართვის ფორმა და სატრანსპორტო კოლაფსთან და მის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებული კითხვებით მივმართეთ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს. ასევე კომისიურ ფორმატში საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული პირების მოწვევის ინიციატივით მივმართეთ სატრანსპორტო და ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას.

პოლიტიკური სიტყვის ფორმატში გავაჟღერე მეტროსადგურებთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე მერიის მიერ ორგანიზებული მიმდინარე და დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმარებისა და შესრულების ხარვეზულობის შესახებ ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტუდენტების სწავლის დაფინანსების და მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხი. პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ ინიციატივით რამდენჯერმე მოვუწოდე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ახალგაზრდებისთვის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის კომპლექსური ღონისძიებეის შემუშავებისა და განხორციელებისკენ.

საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

2022 წლის 11 აგვისტოს მოვუწოდეთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-18 მუხლის საფუძველზე შეექმნა კორუფციის ხელშემწყობი სისტემების გამოვლენის დროებითი სამუშაო ჯგუფი. ჩვენი, როგორც დედაქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს, პასუხისმგებლობაა და ჯერ

კიდევ შეგვიძლია შევქმნათ მექანიზმი, რომელიც შეისწავლის და აღმოფხვრის კორუფციის ხელშემწყობ სისტემებს ადგილობრივ დონეზე.

აღნიშნული ინიციატივა კვლავ განხილვის პროცესშია და ქმედითი ნაბიჯი ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ გადადმულა მუნიციპალიტეტის მიერ.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

მე როგორც პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წარმომადგენელმა, საკრებულოს წევრის მანდატის ფარგლებში საკრებულოში გავმართე 13 ინდივიდუალური შეხვედრა. შეხვედრების შინაარსი ძირითადად ეხება მოქალაქეთა სოციალურ, ეკონომიკურ პრობლემებს და ადმინისტრაციულ ორგანოებთან შუამდგომლობის თხოვნებს.

მოქალაქეთა წერილების განხილვისა და მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ შუამდგომლობა იგზავნება კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოში ან და გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტთან იმისთვის, რომ გამოიძებნოს ყველა შესაძლებლობა მოქალაქეთა პრობლემის გადასაჭრელად.

<u>ძირითადი შუამდგომლობები არის შემდეგი შინაარსის:</u>

- მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა;
- უსახლკაროს სტატუსის მინიჭება და პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხები;
- ავარიული სახლების მესაკუთრეთრეთა განცხადება, საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის მოთხოვნით;
- მყარი ნარჩენების მოსათავსებელი ურნების განთავსება/დამატება;
- კანონის დარღვევით მიმდინარე სამშენებლო პროცესები, დარღვეული უსაფრთხოების ნორმების შესწავლა;
- გარე განათების ბოძების გამართულობა;
- დასასვენებელი ადგილების, პარკების, სკვერების, სათამაშო მოედნების მოწყობა/უსაფრთხოება;
- მიწისქვეშა კომინიკაციების მოწესრიგება;
- ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა;
- დაუმთავრებელი მშენებლობების სტატუსი მინიჭება;
- ქალზე ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების პრევენცია და მდგრადი პოლიტიკის შემუშავება;

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

1. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსთან კომუნიკაცია და მოწვევა პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ თბილისის საკრებულოს წევრის ნინო წულაძის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე ცხოველთა უფლებადამოცველ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ პირებთან.

2. პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ თბილისის საკრებულოს აპარატში შემოსული მოქალაქეთა განცხადების პასუხად გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიასთან კორესპონდენცია - სოფელი ნორიოს, გამარჯვებისა და ჯანდარას საჯარო სკოლების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით.
3. გენდერული თანასწორობის საბჭო - 2022-2025 წლების გენდერულ სტრატეგიასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაზიარება.
4. ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელის დაბარება საკრებულოს სხდომაზე.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის მოწვევა საკრებულოს სხდომაზე. სადეპუტატო კითხვით მიმართვა.
6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო კომისიისა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეებისადმი მიმართვა სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის კომისიის სხდომაზე მოწვევასთან დაკავშირებით.
7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურთან კორესპონდენცია ქალაქში სავარაუდოდ სამშენებლო ნორმების დარღვევით მიმდინარე ურბანულ განაშენიანებასთან დაკავშირებით.
8. გასული კორესპონდენცია ააიპ თბილისის განვითარების ფონდისადმი, ავარიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საკითხის შესწავლასთთან და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით.
9. გასული კორესპონდენცია შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებული შავი წერტილების და ამ გზებზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით.
10. გასული კორესპონდენცია დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსადმი ჩარგლის ქუჩაზე N40-ში N31-ე საბავშვო ბაღში დროებით კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია - დაუსრულებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სამშენებლო კომპანია „ათორის“ დაზარალებულთა შუამდგომლობა.

12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისადმი გასული კორესპონდენცია მრავალპროფილური კომპლექსის „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მშენებლობით დაზარალებული შარტავას ქ. N45-ში მცხოვრები მოსახლეობის შუამდგომლობა.
13. ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, GWP - გასული კორესპონდენცია - ივერთუბანში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით.
14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, გასული კორესპონდენცია გარე ვაჭრობის მოწესრიგების ხედვასთან და პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით.
15. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - გასული კორესპონდენცია სიჩქარის შემანელებელი ე.წ. ხელოვნური ბარიერის განთავსების მოთხოვნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გამართული სამუშაო შეხვედრები

1. სამუშაო შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და მათ უფლებადამცველ ორგანიზაციებთან.

2. სამუშაო შეხვედრა ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტლის მე-2,3 და მე-5 კორპუსის მოსახლეობასთან. სანდრო ეულის N7-ში მიმდინარე სავარაუდოდ უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით.

2. სადნრო ეულის N7-ში მიმდინარე სამშენებლო პროცესით დაზარალებული მოსახლეობის სამუშაო შეხვედრის ორგანიზება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული კომისიის თავმჯდომარესთან, ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთან.



3. ცხოველთა უფლებების დაცვაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა.

შეხვედრები მოსახლეობასთან - „ესაუბრე ხალხს“

„ესაუბრე ხალხს“ კამპანიის ფარგლებში პატრტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის“ წევრებს გასვლით შეხვედრები გვაქვს თბილისის ათივე რაიონში. დატვირთული სამუშაო გრაფიკიდან და ოჯახური ვალდებულებებიდან გამომდინარე ბევრი მოქალაქე ვერ ახერხებს საკრებულოში მოსვლას, შესაბამისად ისინი გვიკავშირდებიან ტელეფონით, პარტიის სოციალური ქსელით, გვაწვდიან ინფორმაციას და ჩვენ თავად მივდივართ ადგილზე მათ მოსასმენად და დასახმარებლად.

სამგორი - ნავთლუღის ბაზარი

სადგურის მოედანი

მთაწმინდა

ბიძოლას ავკუ ანბი